



გაგილო ნიჭნი მე-7 გამოცემა

სადაც მიწა და ხეივანი არაა უსუსურსაბის მართვა

მნიკლ არმსტრუნი

ადამიანური რესურსების

მართვა

მაიკლ არმსტრონგი



331.101.262.1
ადამიანთა ხელისუფლება

ავტორის შესახებ



ქართული
ნიგლიცისა

მაიკლ არმსტრონგი არის ლონდონის ეკონომიკური სკოლის წარჩინებული დიპლომანტი, პერსონალის და განვითარების ინსტიტუტის საბჭოსა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ინსტიტუტის საბჭოს წევრი. იგი ასევე უფროსი გამოცდელია პერსონალისა და განვითარების ინსტიტუტში.

წინამდებარე წიგნი მნიშვნელოვნად ეფუძნება მაიკლ არმსტრონგის, როგორც საინჟინრო, სამრეწველო და კვების მრეწველობის სფეროებში თანამშრომლებთან ურთიერთობის სპეციალისტის, გამოცდილებას.

თორმეტი წლის მანძილზე იგი იყო პასუხისმგებელი აღმასრულებელი დირექტორი ადამიანურ რესურსების მართვაში ერთ-ერთ დიდ საკაპიტალო კომპანიაში, ათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ადამიანური რესურსების მართვის საკონსულტაციო საბჭოს Coopers & Lybrand-ში. ამჟამად საქმიანობს როგორც დამოუკიდებელი კონსულტანტი.



A HANDBOOK OF

**Human Resource
Management
Practice**

Michael Armstrong

Kogan Page limited
120 Pentonville Road
London N19IN UK



- ინგლისურ ენაზე პირველად გამოიცა 1977 წელს
- ინგლისურ ენაზე მეორედ გამოიცა 1984 წელს
- ინგლისურ ენაზე მესამედ გამოიცა 1988 წელს
- ინგლისურ ენაზე მეოთხედ გამოიცა 1991 წელს
- ინგლისურ ენაზე მეხუთედ გამოიცა 1995 წელს
- ინგლისურ ენაზე ხელახლა დაიბეჭდა 1997 წელს
- ინგლისურ ენაზე მეექვსედ გამოიცა 1996 წელს
- ინგლისურ ენაზე ხელახლა დაიბეჭდა 1998 წელს (ორჯერ)
- ინგლისურ ენაზე ხელახლა დაიბეჭდა 1999 წელს (ორჯერ)
- ინგლისურ ენაზე ხელახლა დაიბეჭდა 2000 წელს

© მაიკლ არმსტრონგი: *A Handbook of Human Resource Management Practice*

ISBN 07494 2964 X

ველა უფლება დაცულია. გამოცემის არც ერთი ნაწილი გამოცემლის ნებართვის გარეშე არ შეიძლება ხელახლა გამოიცეს ან გავრცელდეს ნებისმიერი დანიშნულებით ელექტრონული, მექანიკური, ფოტოგრაფიული ან სხვა ნებისმიერი სახით.

წიგნის ქართული თარგმანი გამოცემულია გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის DIFD-ის პროგრამის „ბრიტანული წიგნები მენეჯერებისათვის“ (BBM) ფარგლებში.

გაონომიური კვლევისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრი მაფლობას უხდის DIFD-ისა და ბრიტანული კომპანია FFC-ს (Education of Change) იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ისინი ახორციელებენ პროგრამა BBM-ის მხარდაჭერისათვის საქართველოში.

მთარგმნელი: ლიანა შაყულაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა, გარეკანი და დიზაინი ბადრი გოგიბერიძე, ბექა თოფურია, შპს „მაუსი“

© საგანმანათლებლო მთარგმნელობითი და საგამომცემლო ცენტრი 2002
ISBN 99928-922-2-6

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ მ ე ტ ო ს
ე რ ო ვ ე შ ლ ო ს
ბ ი ბ ლ ი ო ტ ე მ ა

წინასიტყვაობა	რატიმ ვეკელით სათაურს?	
ნაწილი I	ადამიანური რესურსების მართვა მიმოხილვა	
თავი 1	ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები	11
თავი 2	ადამიანური რესურსების მართვის არსი	21
თავი 3	ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტის როლი	25
თავი 4	ადამიანური რესურსების ფუნქცია	37
თავი 5	ადამიანური რესურსის ფუნქციის წვლილი	51
თავი 6	ადამიანური რესურსის ფუნქციის შეფასება	57
თავი 7	ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვა	65
ნაწილი II	ორგანიზაციაში ქცევა	75
თავი 8	ადამიანთა მახასიათებლები	77
თავი 9	მოტივაცია	85
თავი 10	ვალდებულება	101
თავი 11	როგორ ფუნქციონირებს ორგანიზაცია	109
თავი 12	ორგანიზაციული კულტურა	123
ნაწილი III	მუშაობა და დასაქმება	133
თავი 13	მუშაობის ხასიათი	135
თავი 14	დასაქმებითი ურთიერთობა	141
თავი 15	ფსიქოლოგიური კონტრაქტი	147
ნაწილი IV	ორგანიზაციის სტრუქტურა, სამუშაო და როლები	155
თავი 16	ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება	157
თავი 17	ორგანიზაციული განვითარება	163
თავი 18	სამუშაოს დაგეგმვა და როლი შექმნა	177
ნაწილი V	ადამიანური რესურსების მართვის პროცესი	185
თავი 19	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	187
თავი 20	ადამიანური რესურსების პოლიტიკა	195
თავი 21	კომპეტენტურობაზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვა	201
თავი 22	სამუშაოს, როლისა და კომპეტენტურობის ანალიზი	211
თავი 23	ადამიანური რესურსების დაგეგმვა	235
თავი 24	მოწვევა და შერჩევა	261
თავი 25	შერჩევითი გამოკითხვა	277
თავი 26	ფსიქოლოგიური ტესტები	291
თავი 27	ორგანიზაციაში შესვლა	297
თავი 28	ორგანიზაციიდან წასვლა	303
ნაწილი VII	მწარმოებლურობის მართვა	313
თავი 29	მწარმოებლურობის მართვის საფუძველი	315
თავი 30	მწარმოებლურობის მართვის პროცესები	321
თავი 31	360 გრადუსიანი უკუკავშირის გამოყენება	339

ნაწილი VIII	ადამიანური რესურსების განვითარება	345
თავი 32	ადამიანური რესურსების განვითარების საფუძველი	347
თავი 33	სწავლება და განვითარება	351
თავი 34	პირადი განვითარების დაგეგმვა	361
თავი 35	მომზადება	365
თავი 36	ხელმძღვანელობის კვალიფიკაციის ამაღლება	385
თავი 37	კარიერის მართვა – ხელმძღვანელთა შემკვიდრებისა და კარიერის დაგეგმვა	397
ნაწილი IX	წახალისების მართვა	409
თავი 38	წახალისების მართვის სისტემები	411
თავი 39	სამუშაოს სართულის შეფასება	423
თავი 40	საბაზრო ნორმის ანალიზი	443
თავი 41	ანაზღაურების სტრუქტურა	447
თავი 42	გაუთვალისწინებელი ანაზღაურება	463
თავი 43	დაქორაგებულთა დახმარებები, პენსიები და დანამატები	479
თავი 44	დაჯილდოების სისტემების მართვა	485
ნაწილი X	დაქორაგებულთა ურთიერთობები	493
თავი 45	დაქორაგებულთა ურთიერთობების სტრუქტურა	495
თავი 46	დაქორაგებულთა ურთიერთობები – პროცესები და შედეგები	509
თავი 47	მოლაპარაკებების წარმოება და გარიგება	523
თავი 48	ჩართვა და მონაწილეობა	529
თავი 49	კომუნიკაციები	539
ნაწილი XI	ჯანდაცვა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა	545
თავი 50	ჯანდაცვა და უსაფრთხოება	547
თავი 51	კეთილდღეობის სამსახურები	555
ნაწილი XII	დასაქმება და ადამიანური რესურსების მომსახურება	561
თავი 52	დასაქმება	563
თავი 53	ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები	573
თავი 54	ადამიანური რესურსების საინფორმაციო და საადრიცხო სისტემები	577
A დანართი	მომზადების შეიოდები	587
B დანართი	ადამიანური რესურსების ჩაწერის ფორმები	597



რატომ ვივლით სათაურს?

წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაურის შეცვლა („კადრების მართვის“ ნაცვლად ეწოდა „ადამიანური რესურსების მართვა“) ორმა მიზეზმა განაპირობა: პირველ რიგში, იმან, რომ ადამიანური რესურსების მართვა გარკვეულწილად ნიშნავს კადრების მართვას, რადგან ისინი ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებიან; ამასთან ერთად, ადამიანური რესურსების მართვა ხელ უფრო მეტად განიხილება, როგორც კადრების მართვის მეთოდი და არა როგორც მისი ალტერნატივა.

ადამიანური რესურსების მართვა ნიშნავს „კადრების მართვის საუკეთესო კონცეფციას“. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ადამიანური რესურსების მართვის შესახებ კონცეფციისა და მეთოდების სრულყოფასთან ერთად უკრძალდება გამახვილებულია კადრების მართვის ტრადიციულ მიდგომაზე, იმ სტრატეგიულ წვლილზე, რაც ადამიანური რესურსების მართვას შეუძლია შეიტანოს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ევოლუციის ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს. ტერმინს „ადამიანური რესურსების მართვა“ ხმარობს ფელა, ვინც ადამიანის მართვის პრობლემათა დაკავებული. „ადამიანური რესურსი“, როგორც კადრების მართვის სინონიმი, საყოველთაო გამოთქმად იქცა. მაგალითად „ადამიანის მართვის“ 1998 წლის 10 დეკემბრის გამოცემაში გამოქვეყნებული ვაკანსიების ნახევარზე მეტი „კადრების“ ნაცვლად იყენებდა ტერმინს „ადამიანური რესურსები“. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში „კადრების მართვა“ და „კადრები“ შეცვალა „ადამიანური რესურსების მართვამ“ და „ადამიანურმა რესურსმა“. სახელმძღვანელოს მიზანია განსაზღვროს, თუ რა იგულისხმება „ადამიანური რესურსების მართვაში“, როგორც კადრების მენეჯმენტის სრულყოფაში; ეს განსაკუთრებით ზაზგასმულია პირველ ნაწილში და, შესაბამისად, იმ ნაწილებშიც, რომელიც ადამიანური რესურსებით მომარაგებას, ადამიანური რესურსების სრულყოფას, წახალისებას და საქმიან ურთიერთობას ეხება.

ავტორი

სახელმძღვანელო იწყება ადამიანური რესურსების მართვის ზაზისისა და ამ რესურსების გამოყენების მიმოხილვით (ნაწ. I); შემდგომ განიხილება კონცეპტუალური სტრუქტურა (ორგანიზაციაში ქცევის თეორია), რომელშიც მაშინდარეობს დასაქმების, განვითარების და ადამიანებთან ურთიერთობის პროცესი (ნაწ. II).

III ნაწილში მიმოხილულია დასაქმების ცალკეული ასპექტები, როგორც ადამიანური რესურსების ქცევის, განვითარების პროცესის სრულყოფისა და გამოყენების წინაპირობა. აქ შედის სამუშაოს ზაზათი, სამსახურებრივი ურთიერთობები და სათაურში ფსიქოლოგიური კლიმატის შესახებ არსებული შეთანხმებების

ძირითადი პრინციპები. აქედან გამომდინარე, IV ნაწილში გაანალიზებულია ორგანიზაციის შექმნისა და სრულყოფის მეთოდები, აგრეთვე, სამუშაო ადგილის დიზაინისა და როლების განაწილების ტექნიკა.

V ნაწილში ზოგადდა განიხილება ადამიანური რესურსების სტრატეგიისა და პოლიტიკის ძირითადი და ის ორი ყოვლის მომცველი პროცესი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანური რესურსების საქმიანობაზე. კერძოდ, საქმე ეხება კომპეტენტურობაზე დაფუძნებულ მენეჯენტს და სამუშაოს თავისებურებათა უწყვეტობისა და კომპეტენტურობის ანალიზს.

სახელმძღვანელოს დანარჩენ ნაწილებში განხილულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სფეროები, კერძოდ:

- რესურსებით უზრუნველყოფა (ნაწ. VI)
- სამუშაოს შესრულების მართვა (ნაწ. VII)
- ადამიანური რესურსების განვითარება (ნაწ. VIII)
- წახალისების მართვა (ნაწ. IX)
- კადრების ურთიერთობა (ნაწ. X)
- კადრების მომსახურება, მათი ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გათვალისწინებით (ნაწ. XI)
- - დასაქმება და ადამიანური რესურსების მომსახურება მათი მოზიდვისათვის საჭირო ეტაპებისა და ინფორმაციის კომპიუტერული სისტემების ჩათვლით.

ადამიანური რესურსების მართვა

მიმოხილვა

საბელმჯვარელოს ამ ნაწილის მიზანია შეითხველოს მაწოდონ ადამიანური რესურსების მართვის (მენეჯმენტის) ფუნქციური სტრუქტურა. I თავი იწვევს ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის მიმოხილვით, რაც დაკავშირებულია კადრების მართვის ტრადიციულ შეოღებებთან; განალოშებულა ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მსჯელებები. შემდგომ თავები ეხება ადამიანური რესურსების მართვის მინარსს, რომელიც წარმართავს ადამიანური რესურსების ფუნქციების წარმართველი კონსულტატის როლს, მის წელიღსა და ამ წელიღის შეღარების კრიტერიუმებს; განხილულა ადამიანური რესურსების მართვის სერიაშორისო ასპექტები.

ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები

ადამიანური რესურსის მართვის განმარტება

ადამიანური რესურსების მართვა წარმოადგენს სტრატეგიულ და ლოგიკურ დამოკიდებულებას ორგანიზაციის ყველაზე ღირებული კაპიტალისადმი, ანუ იქ მომუშავე ადამიანებისადმი, რომლებიც ცალკეულ და ერთად იღვიან ორგანიზაციის მიზნების განსახორციელებლად. როგორც სტორამ 1995 წელს განმარტა: „ადამიანური რესურსების მართვა“ სხვაგვარად უძგება დასაქმების მართვას. იგი ითვალისწინებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად სწრაფვას მოვალეობის გრძობის მჭიდვ და მაღალეკალიფიციური სამუშაო ძალის სტრატეგიული გამოყენებით, სხვადასხვა კულტურული, სტრუქტურული მეთოდითა და კადრების სწორი დაკომპლექტებით.

ადამიანური რესურსების მართვა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც „უთითრთდაკემრებულ პოლიტიკათა სისტემა, რომელიც იფილოფიურ და ფილოსოფიურ საფუძველზეა დამყარებული“ (სტორი, 1989). მისი ამოცანაა ორგანიზაციებში ადამიანთა დასაქმება, მათი განვითარება, წახალისება და ამსოან, მმართველობასა და სამუშაო ძალას შორის უთითრობის წარმართვა. ამ პროცესში ჩართულია ყველა პორიზონტალური ხელმძღვანელი და ეკუფვის ლიდერი, ზოლო რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვის სპეკიალისტები, ცდილობენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ არსებულ პროცესებში.


მ ი ზ ე ბ ი

ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზანია ადამიანების მუშეობით ორგანიზაციის წარმატების უზრუნველყოფა. კერძოდ, მისი ამოცანებია:

- უზრუნველყოს ორგანიზაციის მართვის პროცესი, რომელდე ხელს უწყობს საერთო მიზნების მიღწევას;
- შესაძლებლობა მისცეს ორგანიზაციას მიზიდოს და შეინარჩუნოს მაღალეკალიფიციური და სტიმულირებული სამუშაო ძალა;
- სწავლების უზრუნველყოფითა და უწყვეტი განვითარების გამოყენებით განავითაროს და სრულყოს ადამიანის შესაძლებლობები - მათი მიღწევები, პოტენციალი, პრობისუნარიანობა;
- მმართველობასა და მოსამსახურეთა შორის შექმნას ნაყოფიერი და ქარბონიული უთითრობისა და უთითრთნლობის ატმოსფერა;
- შექმნას ხელსაყრელი გარემო შეთანხმებული შრომისა და ცვლილებებისათვის;
- ხელი შეუწყოს ორგანიზაციას, დაკამყოფილოს და გაითვალისწინოს თავისი აქციონრების (შესაკურებები, სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, ხელმძღვანელები, მოსამსახურეები, მომხმარებლები, მიმწოდებლები და მიღმანად საზოგადოება) მოთხოვნილებები;
- დაიცვას ადამიანის ღირსება, მისი საქმიანობისა და მიღწევების შესაბამისად;
- მართოს სხვადასხვა დონის სამუშაო ძალა და გაითვალისწინოს ინდივიდუალური და ეკუფური განსხვავებები დასაქმების მოთხოვნილებებში, მუშაობის სტილსა და მიწრაფებებში;
- უზრუნველყოს ყველა მოსამსახურისათვის თანაბარი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა;

ბლომწვანდება კადრებსა უნდა გაითავისონ ის ეთიკური ნორმები, რომელიც ეფუძნება ადამიანის ინტერესებს, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას;

- შეინარჩუნოს და განავითაროს დასაწყებულთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები.



ადამიანური რესურსების მართვის საგანი

საქართველოს ადამიანის უფლებების ეროვნული ცენტრი

ადამიანისადმი ზრუნვა

პორტერი (1985), პრასადი და ქაშვილი (1990), რომლებიც ბიზნესის სტრატეგიის შესახებ აქცენტებზე ნაშრომებს, ბაზგანსძობენ აღნიშნავენ, რომ კონკრეტული უპირატესობა მხოლოდ ადამიანთა შემოქმედებით მიიღწევა. კარგა და ცუდ მუშაობას შორის ძირითად განსხვავებას ქნის დასაწყებული კადრის ხარისხი და ამასთან ისიც, თუ რამდენადაა ეს კადრი სტიმულირებული და კვლავილი ორგანიზაციის წარმატებაში ეფექტური წილის შეტანით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „უპირველესი მნიშვნელობა აქვს პიროვნებს“.

ადამიანისათვის ზრუნვა ნიშნავს სათანადო კადრების მოზიდვას, შენარჩუნებას, მათ განვითარებას და წახალისებას, აგრეთვე სათანადო კულტურული და კლიმატური გარემოს შექმნას. „რესურსზე დამოკიდებული“ სტრატეგიული მუშაობის, მიხედვით ფირმის წარმატება დამოკიდებულია მისი რესურსების შესაძლებლობებზე. ამგვარი მიდგომა ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მისაღწევას ბიზნესის აწესშისა და მომავლის მოთხოვნებიდან. ეს გულისხმობს იტელიქტუალური კაპიტალის განვითარებასა და ცოდნის მენეჯმენტზე ყურადღების გამახვილებას.

მაგრამ, დაინტერესება უნდა გამოიწვიოს არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ თვით ადამიანების მოთხოვნილებებზეც. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული აქციონერებისადმი დამოკიდებულებაც, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია წარმოადგენს ინტერესთა ერთობლიობას, რომელიც უნდა ვალდაროდ და პატივი ვცეთ მათ. აქციონერების განმარტება ფრიდმანმა (1984) შემდგმაროდ ჩამოაყალიბა: „ჩებისშიერი ჯგუფი ან პირი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს (ან თვითონ მოუქცეს გავლენის ქვეშ) ორგანიზაციის მიზნის მიღწევაზე“. ის ეზბრობა „აქციონერული სინთეზის“ პროცესს, რომელიც აანალიზებს და აერთიანებს აქციონერთა შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ორგანიზაცია და როგორ უნდა დაეგმოფიიღეს მათი ინტერესები.

ადამიანისათვის ზრუნვა გულისხმობს მათი მართვისადმი ეთიკურ მიდგომას. ვინსტენლიმ და სტოუარტ-სმითმა (1996) შემოგვთავაზეს ოთხი ეთიკური პრინციპი:

- პიროვნების პატივისცემა - მისთვის თვითრეალიზაციის საშუალების მიცემა;
- ურთიერთპატივისცემა - ორგანიზაციაში ინტერესთა ერთობლიობის ჩამოყალიბება და კონფლიქტის მოწესრიგება;
- პროცედურული სამართლიანობა - რომელიც მოიცავს პიროვნებისადმი დამოკიდებულების ყველა ასპექტს;
- გამჭვირვალობა - ყველასათვის გასაგები გაზადოს და ახსნას მმართველობის მიერ შემოთავაზებული წინადადებები, გადაწყვეტილებები და მუშაობები.

ორგანიზაციის ეფექტური მუშაობის საკითხისათვის

იმის დასამტკიცებლად, რომ უპირველესი მნიშვნელობა ადამიანს ენიჭება, ადამიანური რესურსების მართვის საკვალისებები ზრუნავენ იმისთვის, რომ ცალკეულმა პირებმა და ჯგუფებმა თავიანთი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობაში. ეს გულისხმობს, რომ სათანადო კვალიფიკაციის მიღება და მისი სრულყოფა შესაძლებელია, და რომ კომპეტენტრობის საფუძვლები შექმნილია და გამოიყენება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ეფექტური მართვის მეთოდები გაითავისებული აქვს მენეჯერსაც და მოსამსახურესაც.

ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის შემოთავაზება ა.შ.შ-ის მოდელი

ადამიანური რესურსების მართვა, როგორც ჩამოყალიბებული კონცეფცია, თავდაპირველად 1980-იან წლებში წარმოიშვა, როდესაც ამერიკელმა პროფესორებმა ორი მიღებული წარმოადგინეს. 1992 წელს



ადამიანური რესურსის მართვის „შეცერებული მოდელი“

ავტორთა ვაგუჟმა, ფოშჩანის ხელმძღვანელობით 1984 წელს მოგვცა ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი პირველი ზუსტი ფორმულირება. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანური რესურსების მართვის სისტემები და ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა წარმოადგენდეს ორგანიზაციის სტრატეგიის შესაბამისად; რომ „ადამიანური რესურსებისადმი სტრატეგიული მიდგომა და სათანადო მექანიზმი ძირითად განსხვავდება კადრების ტრადიციული ადმინისტრირებისაგან“. მათ მიამბოდა, რომ მშრომელი ვალდებული უნდა ყოფილიყო „ისეთივე ყურადღება გამოეჩინა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებისადმი, როგორც ფინანსების, მარკეტინგისა და წარმოებისადმი.

„სარეაქციის სტრუქტურა“

ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის სხვა ავტორები, მაგალითად ბერის ხელმძღვანელობით (1984), თვლიდნენ, რომ „დევეანდელი დაძაბული სიტუაცია მოითხოვს უფრო ფართო, ყოვლისმომცველ და სტრატეგიულ პერსპექტივას ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის პროცესში“. ამ დაძაბულობამ მოითხოვა „ადამიანური რესურსების მართვის ხანგრძლივი პერსპექტივა და მათი მიზნევა პოტენციურ კაპიტალად და არა უბრალოდ ცვალებად დანახარჯად“.

ბერისა და მისმა კოლეგებმა, პირველებმა აღნიშნეს, რომ ადამიანური რესურსების მართვა განსუთუნება პორიზონტალურ მენეჯმენტს. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ადამიანური რესურსის მართვის შეთანხმებით არსებობის პოლიტიკის აუცილებლობაზე, რაც პრაქტიკაში ერთ-ერთ ველახე უფრო რთულად განსახორციელებელ ასპექტს წარმოადგენს.

უოლტონი ხაზს უსვამდა „კონტროლის პოლიტიკაზე“ „შესრულების პოლიტიკაზე“ გადასვლის აუცილებლობას, რაც ზრდიდა საჭმისადმი ერთგულებას და თავდადებულობას, ისეთი საშუალებებით. როგორცაა: ერთობლივი მიზნების შექმნა და ადმინისტრაციული კონტროლის სიმკაცრის შესუსტება. ვალდებულების კონცეფცია ადამიანური რესურსების მართვის მეორე განმარტებულ ნიშანს წარმოადგენს. უოლტონმა ასევე შეიმუშავა ორმხრივი ურთიერთობების ერთიანი კონცეფცია.

ადამიანური რესურსების მართვის ახალი მოდელი სხვადასხვა მამართლებებს მოიცავს, რომლებიც ხელს უწყობენ ორმხრივ ურთიერთობებს – ესენია: ერთობლივი მიზნები, ურთიერთგაუგუნა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთინახალისება, ერთობლივი პასუხისმგებლობა. ორმხრივი ურთიერთობები წარმოიშობს ვალდებულებას, რომელიც თავის მხრივ იწვევს ცონიზიციის უკეთეს ფუნქციონირებას და ადამიანებთან მუშაობის სრულყოფას.

„სარეაქციის მოდელი“ მიშენილივანი გაგუნა იჭინა ადამიანური რესურსების მართვის თეორიასა და პრაქტიკაზე. იმის გათვლისწინება, რომ ადამიანური რესურსების მართვა ზოგადდ მშრომელობის ზრუნვის საგანია და არა კადრების ფუნქცია.

ადამიანური რესურსების მართვის პრიტანული მერსია

დიდი ბრიტანეთის რამდენიმე პროფესორს მიშენილივანი ღვაწლი მუშევის ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის შექმნაგანში. მათი შემოქმუნება ტვეით მოკლდია განხილული.

დევილ გესტ

დევილ გესტმა სრულყო (1987,89,91) „სარეაქციის მოდელი“ და განსაზღვრა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ოთხი მიზანი, რომელთა გამოყენება შეიძლება საცდელ თეზისებად:

- სტრატეგიული ინტეგრაცია: ორგანიზაციის უნარი, ჩართოს ადამიანური რესურსის მართვის საკითხები სტრატეგიულ გეგმაში, უსრუნველვოს მათი თანხვედრა სხვა ასპექტებთან და შესაძლებლობა მისცეს პორიზონტალურ მენეჯერებს გათვალისწინონ ადამიანური რესურსების მართვის პერსპექტივა გადაწყვეტილების მიღების დროს.

- უმაღლესი ვალდებულება: ქვეითი ხასიათის ვალდებულება ცხოვრებით მშენების განსაზღვრებებზე და პოზიციური ვალდებულება, რომელიც აისახება წარმოქმნილი შედეგით.
- უმაღლესი ბარისხე: ეს ეტება მართვის ყველა ასპექტს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საქონლისა და მომსახურების ბარისხეს, დასაწყისში მართვისა და მაღალკვალიფიკაციის მქონე ადამიანთა ინვესტიციების განხორციელებას წაივლით.
- ცვლილებების უნარი: ფუნქციური ცვლილება და ორგანიზაციის სტრუქტურის ადაპტაცია სახელების მართვის უნარით.

დ. გესტი თვლის, რომ ადამიანური რესურსების მართვის მამოძრავებელი ძალა არის „კონკრეტული უპირატესობის მოპოვება ბაზარზე მაღალბარისხიანი საქონლისა და მომსახურების მიწოდებით, კონკრეტული ფასწარმოქმნით, რაც მაღალწარმოებულობას უკავშირდება, სიხვედრის შემოღების სწრაფი უნარით, ცვლილებების განხორციელებით ბაზარზე მომხდარი ცვლილებების სასასხოდ და კვლევასა და განვითარებაში წინსვლით“. მისი აზრით ადამიანური რესურსის მართვის მნიშვნელობა უნარით მართვა, რამდენადაც მასში არ იგულისხმება ინტერესთა ძირითადი და გარდაუვალი სხვაობა მშრომელისა და მომწოდებლის შორის და „ინფორმაციის სტრუქტურა“, რამდენადაც მასში ყურადღება გამახვილებულია პარტნიორებსა და ორგანიზაციის კავშირის უპირატესობაზე და არა უკუყურადღებობაზე და წარმომადგენლობითი სისტემით მუშაობაზე.

კარენ ლევი

კარენ ლევი (1984) მიიჩნევს, რომ ადამიანური რესურსების მართვის ტიპური განმარტება შედეგში მდგომარეობს:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ინტეგრირებული უნდა იყოს ბიზნესის დაგეგმვასთან; მან უნდა განამტკიცოს სათანადო (ან შეუცვლად შეუცვრებელი) საორგანიზაციო კულტურა; ადამიანური რესურსები მნიშვნელოვანი დირექტივებისა და კონკრეტული უპირატესობის საწყისია. მისი უფასოდ გამოყენება შესაძლებელია უთითოეთიანშემდეგი პოლიტიკით, რომელიც ამაღლებს შემრულებლობას, რის შედეგადაც მომსახურებებში წდება სურვილი, იმოქმედონ მათი წარმატების მოსურნე ორგანიზაციის ინტერესებში.

კრის ჰენდრი და ენდრიუ ჰეტერინო

ჰენდრიმ და ჰეტერინომ (1990) „სარეკლამის მოდელს“ ჩამოაშორეს დირექტიული კვლევები და განაცხადეს მისი ანალიტიკური მოდელი. როგორც ბოქსალი (1992) აღნიშნავდა, სწორედ ასეთი მოდელი აცლებს ადამიანური რესურსების მართვას განვითარების აარღის. ჰენდრი და ჰეტერინო ამტკიცებენ, რომ „ადამიანური რესურსების მართვის არსებით საფუძვლს წარმოადგენს ორგანიზაციების სტრუქტურისა და სტრატეგიის შეხვედრისა და მათი უთითოეთობის უფრო კარგად ჩამოყალიბება“. ისინი თვლიან, რომ ადამიანური რესურსების მართვის ამოცანას წარმოადგენდა, დიდი ტერესისათვის შედეგად ეკონომიკის სხვადასხვა დარგში: „ადამიანური რესურსების მართვა იმითავე იყო ნორმატიული, სხვადა დაგნოზს და იძლეოდა ახსნას“. ისინი თვლიდნენ, რომ „ამ მომენტისათვის ადამიანური რესურსების მართვა შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სხვა მამართლებლობის, იმ დროს როცა ადრე ყურადღება გამახვილებული იყო კადრების მართვის სირთულეებზე.

კეთი ხისონი

კ. ხისონი (1990) თვლის, რომ არსებობს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ოთხი ძირითადი ნიშანი:

- ყურადღების გამახვილება საკადრო პოლიტიკის ინტეგრაციაზე როგორც ერთმანეთთან, ისე ბიზნესის დაგეგმვასთან.
- კადრების მართვაზე მახვილშეხვედრის ადარ ეყისრება მხოლოდ სპეციალისტ მენეჯერს.
- მმართველსა და პროფკავშირს შორის უთითოეთობიდან ყურადღება გადატანისა მმართველობასა და დაქირავებულ მომწოდებელს უთითოეთობაზე, კონკრეტული შიდა - ინფორმაციის მიხედვით.
- ყურადღება გამახვილებულია ვალდებულებაზე და ინიციატივის გამოვლენაზე იმ მენეჯერებში, რომლებმაც მიიღვეს „სირობების შექმნის“, „უფლებამოსილების გამცემის“ და „ფაილისტატორის“ როლი.



- ჯონ სტორი გვიავაზობს ადამიანური რესურსების მართვის ოთხ მნიშვნელოვან ასპექტს:
- მრწამსისა და ვარაუდის განსაკუთრებული ერთობლიობა.
- ადამიანების მართვის შესახებ სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღება.
- პირინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართვა ცენტრალურ მართვაში.
- იმ „პროექტებზე“ დაყრდნობა, რომელიც წამოვადილებს დასაქმებულ ურთიერთობას – ეს „პროექტები“ განსხვავდება იმისგან, რომელიც გამოყენებულია საწარმოო ურთიერთობათა კლასიკური სისტემისათვის დამახასიათებელი პროცედურული და ერთობლივად მარველორებული რეჟიმის დროს.

1989 წელს სტორი აღნიშნავდა, რომ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ფორმულირება სტრატეგიულ დონეზე იმყოფება და მისი დამახასიათებელი ნიშანი არის შინაგანად შეთანხმებული მიდგომა“. იგი მართავს ყოფს „ხისტ“ და „მოქნილ“ კერსებზე:

- ადამიანური რესურსის ხისტი მართვა ხაზს უსვამს რაოდენობრივ, დათვლად და ბიზნისის სტრატეგიულ ასპექტებს მართიადი რესურსების მართვაში ისეთი „რაციონალური“ გზით, რომელიც გამოიღვნება როგორც სხვა ეკონომიკური ფაქტორების მართვაში.
- „მოქნილი“ მართვა სათავეს იღებს ადამიანური ურთიერთობების სკოლიდან, იგი გამოყოფს კომუნიკაციის, მოტივაციის და ლიდერობის ფაქტორებს.

აღამიანური რესურსების მართვის დამახასიათებელი ნიშნები

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების მართვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს:

- სტრატეგიული შესაბამისობა (ინტეგრაცია) – ბიზნისისა და ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული ინტეგრირების აუცილებლობა.
- შეთანხმებულობა – ადამიანური რესურსების მართვის ურთიერთშარდადამკერი და ინტეგრირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის უზრუნველყოფისადმი შესაბამისი მიდგომის შეჩვევის აუცილებლობა; ეს პროცესი ცნობილია როგორც „შემკვრელი“ ან „ურთიერთშემკვრელი“ (რომელიც იყენებს მართვის რამდენიმე ურთიერთშემკვრელ და ურთიერთგანამტკიცებელ მეთოდს).
- ვალდებულება (მოვალეობა) – ორგანიზაციის ამოცანებისა და ღირებულების მიმართ ადამიანების მოვალეობის ზრდის აუცილებლობა.
- ადამიანების გადატევა „კაპიტალად“ და „ადამიანურ კაპიტალად“ (ტრენინგის შემუშავებით). ორგანიზაციისათვის საჭირო მომუშავეთა კვალიფიკაციის რეგულირება და „ცოდნის მართვა“ (იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია აცნობიერებს ცოდნის აუცილებლობას თავისი მიზნების მისაღწევად და მიზნარულის დასაკმაყოფილებლად და შესაბამის ნაბიჯებს დგამს ინტელექტუალური კაპიტალის მოძიებისა და სრულყოფისათვის).
- კორპორაციული კულტურა – ძლიერი კორპორაციული კულტურის აუცილებლობა, რომელიც ასახულია ორგანიზაციის ამოცანებსა და მნიშვნელოვან განაცხადებში და განმტკიცებულია კომუნიკაციებით, ტრენინგითა და წარმოების მართვით.
- უნიტარული ურთიერთობები – უნიტარული და არა პლურალისტური მეთოდის არჩევა ინდივიდუალური (და არა კოლექტიური) შეთანხმების გამოყენებით (უნიტარული მეთოდი ეფუძნება იმ რწმენას, რომ ორგანიზაციამო მიმუშავე ადამიანები, როგორც ერთიანი გუნდი, აღიარებს იმას, რომ დაქირავებულია ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა დამქირავებულთა ინტერესებს).
- მმართველობის ასუსტებისგეგმვა – ადამიანური რესურსების მართვის ახორციელებს უმაღლესი მმართველობა, ხოლო მისი ეფექტურობა და ადამიანური რესურსების მართვება პირინფორმაციული ხელმძღვანელობის კომპეტენციას წარმოადგენს.

შენიშვნები ადამიანური რესურსების მართვის თაობაზე

- ერთი შეხედვით, ადამიანური რესურსების მართვის ბევრის მიცემა შეუძლია, (თუნდაც მრეწვერებისათვის), მაგრამ ზოგიერთი ავტორის მიერ შინაშენები მანც გამოიიქცა:
- გეტსის (1991) სიტყვებით, ადამიანური რესურსების მართვა „აპტაბისტურია, მაგრამ მანც ორანზორიანი კონცეფცია“.



- იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანური რესურსების მართვა არსებობს, როგორც ვარკვეული პრაქციის, (რაც საუკუნოა). იგი საკვსა წინააღმდეგობით, მანიპულირებადა (მართვადია) და „კარდების სკოლის“ თანახმად (ბილატონი და ტრანალი), აშკარად მენეჯ.

- იგი ელემენტარულია - როგორც ფაქტური (1987) წინადა: ადამიანური რესურსების მართვის შესახებ უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის საქმად მარტივია. დღეად რუ შეიწუხეთ თავს „კარდების მართვის მინარსითა და მეთოდებით, უბრალოდ გაერკვიეთ მის არსში. მატკვეთ სამუშაო ადგილი, გვერდი აუარეთ ფერატკას, გაესაბრეთ ხალხს. ამით თქვენ აღმოაჩენთ უზარმაზარი პოტენციალს წარმადობის გასაუმჯობესებლად.

- ადამიანური რესურსების მართვის პრაქციის იდეალურია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის მუხედვად იმ მტკიცებისა, რომ საქმიანობათა სხვადასხვა გარემო სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს.

- ადამიანური რესურსების მართვაში ასახული სამრეწველო ურთიერთობებისადმი მმართველობითის მიდგომამ დაწერინა ფილიტონს შემდეგ: კონცეციის ძირითადი აზრია დაჭარავებულთა ინტერესების სრული თანხედრბა ბიზნესის მიზნებითან და ღირებულებებითან მხოლოდ კომპანიის პრობების გათვალისწინებით. ადამიანური რესურსის მართვის სისტემაში, ძალაუფლება დამჭარავებულთა ხელში რჩება. შესაძლებელია თუ არა პრეტენზია გჭირდეს ორმხრივ ინტერესებზე, მაშინ როცა დღის ბოლის დამჭარავებელი ერთპიროვნულად წყვეტს კომპანიის დახურვისას ან გასხვისების საჭეს.

- არსებობს პრობლემები ვაღებულებათა კონცეციასთან დაკავშირებით; როგორც გესტი (1987) კითხულობდა: „ვალდებულება რისაღმა?“

- ადამიანური რესურსების მართვა ზერცობს ინდივიდუალიზმის სცივის ქადაგებას (ინდივიდუალიზმზე კონცენტრირება) და კოლექტივიზმს (ვეფუფერი მუშაობა) შორის (ლევი, 1989).

- არსებობს პოტენციური დაძახულობა ძლიერი კორპორაციული კულტურის განვითარებასა და დაჭარავებულთა უზარს შორის მარევედ და სათანადოდ ირეაგიროს ამ განვითარებაზე (ლევი, 1989).

- ადამიანური რესურსის მართვა მანიპულირებადა. ამ კონცეციის პრაქტიკულად განხორციელება მოითხოვს სტრატეგიულ ინტეგრაციას, დასაქების პოლიტიკის შესაბამის და თანხმდევრულ განვითარებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს ვადამწვეტილებების მიღების მაღალ დონეს და კომპეტენტურობას მართვის ყველა დონეზე, ბიზნესზე ორიენტირებული ადამიანებისაგან დაკომპლექტებული ადამიანური რესურსის ძლიერ და უფეტურ ფუნქციონირებას.

ადამიანური რესურსების მართვა და კადრების მართვა

დავიდ გესტი სვამს კითხვას: „შეიძლიათ განასხვაოთ ადამიანური რესურსების მართვა და კადრების მართვა?“ ამ კითხვაზე მასუხი ვაგვეკა ტორინტონმა და პოლმა (1991). ისინი ფიქრობდნენ, რომ კადრების მართვა არის „სამუშაო ძალის თაემორა“ და აღენდა, მმართულია დაჭარავებულებისადმი, მაშინ როცა ადამიანური რესურსების მართვა „რესურსების თაემორა“ და დაინტერესებულია ორგანიზაციის ადამიანურრესურსის ყველა მოთხოვნით.

ამ საკითხზე არეუ კომენტარი ვაკეთა არმსტრონგმა (1987); კადრების ზოგიერთი მმართველი ადამიანური რესურსების მართვას განიხილავს, როგორც ძველ დღისის ახალ ქურჭულში. ეს სხვა არაფერია, თუ არა კადრების მართვის მუიერ სახელწოდება. როგორც აღნიშნავს, მას (ადამიანური რესურსების მართვას) გააჩნია კარგი თვისება, ადამიანი ნათვლოს ძირითად რესურსად, რომლის მართვა, როგორც წარმოების სტრატეგიული დავებვის ნაწილი, მაღალი დონის მცენთერების ძირითადი მიზანს წარმოადგენს. ამ აზრში ახალი არაფერია, მაგრამ ბერ ორგანიზაციში მას საკმაო ვრუადლება არ ეძევა. „ახალი ბოლი“ ან იარღიფი შესაძლოა მხოლოდ საშუალება იყოს ამ უკმარისობის დასაძლვეად. მოგვანებით ჰენდრიმ და პეტერბოუმ (1980) გამოთქეეს აზრი, რომ ადამიანური რესურსების მართვა შესაძლოა აღჭულიყო, როგორც კადრების მართვის პერსპექტივა და არა თვით კადრების მართვა“.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული ბუნება სხვადასხვაობაა, კომენტარული რაძენიმე ადამიანის ბერ, რომელიც ფაქტობრივად არ იზიარებს იმ აზრს, რომ კადრების ტრადიციული მართვა იფენსე ჩართული იყო ბიზნესის სტრატეგიულ სიერცეში. ჰენდრიმ და პეტერბოუმ (1990) თვლიდნენ, რომ ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული სახისთა განსხვავებულია.

ადამიანური რესურსების მართვა შესაძლოა აღეწეროს, როგორც კადრების სტრატეგიული მართვის მუიოდი და არა მისი აღტრინატევა. მათი შედარებისას მსგავსებებს უფრო ზეტს ეპოულობთ, ვიდრე განსხვავებებს. ისეთი კონცეციები, როგორცაა სტრატეგიული ინტეგრაცია, კულტურის მართვა, ვაღებულება, მილიანი ხარისხი და ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში, უნტარულ პრინციპთან ერთად



(მწვერვალთა და მომუშავეთა ინტერესების დამთხვევა) წარმოადგენს ადამიანური რესურსის მართვას მოვლელის არსებით ნაწილს და ეს სწორედ ის მოვლეა, რომლითაც ორგანიზაციებს უნდა წარსწამონ საქმიანობა და მართონ რესურსები იმ გარემოში, რომელშიც არსებობენ, აქედან გამომდინარე პროფესორების მიერ ზემოთ გამოთვლილი შენიშვნების მოუხდევად, ტერმინი „ადამიანური რესურსის ფართოდ გამოიყენება ბიზნესში“ კადრების მართვის“ სანაცვლოდ. ეს ეს იმითაა გამოხატულია უფრო და უფრო მეტი ადამიანი ვართობს ამ ტერმინის პარამიოლობის ორგანიზაციის რეალურ ცხოვრებასთან.

ადამიანური რესურსის მართვის ხელშეწყობისა და სპეციალისტების ძირითადი საქმიანობა

ძირითადი ზემოქმედებებისა და ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების მიერ შესრულებული ძირითადი საქმიანობა შემდეგია:

ორგანიზაცია

- ორგანიზაციის სტრუქტურის სტემა - ავითარებს ორგანიზაციას, რომელიც ეხსარება ცვლა საჭირო საჭე. აკუთვნებს საქმიანობას, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციას და თანამშრომლობას, სწრაფად რეაგირებს ცვლილებებზე, უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციით და გადაწყვეტილებებით.
- სამუშაოს სტრუქტურის სტემა და როლის შექმნა - სამუშაოს მოცულობის შერჩევა - სამუშაოზე დაკავებული ადამიანების მოვალეობები და პასუხისმგებლობა და ის უზიფირობა, რომელიც მუდმივ სამუშაოს შეონესა და დანარჩენ პერსონალს შორის არსებობს ორგანიზაციაში; როლის შექმნა, პასუხისმგებლობისა და კომპეტენტურობის მოთხოვნის გარკვევით; ადამიანური შესაძლებლობების მიქმა, თვითნათი როლების გარჯად შესასრულებლად და წვლილის გასაზრდლად.
- ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა - იმ პროგრამების წახალისება და შედგენა, რითაც ფუნქციონირებს ორგანიზაცია და ცვლება ცვლილებებს; დახმარება ცვლილებების განხორციელების საჭეში და ორგანიზაციული გარდაქმნის მიღწევაში.

სამსახურებრივი უზიფირობადმოკიდებულება

- სამსახურებრივი უზიფირობადმოკიდებულების გაუმჯობესება.
- ნდობის ატმოსფეროს შექმნა.
- დადებითი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა.
- უმაღლესი პასუხისმგებლობის ორგანიზაციული სტრუქტურის მიღწევა.

რესურსებით მომარტება

- ადამიანური რესურსების დაცემა - ადამიანების მომავალი მოთხოვნების განსაზღვრა, ცვალოცაკისა და კომპეტენტურობის დონეებისა და რაოდენობის გოთვალისწინებით. ამ მოთხოვნების დასაკყოფილებლად გეგმების მოშადება და განხორციელება პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებით, სწავლებით, განვითარებით და ზღომლვანელ პირთა შემციერითაყ კი, ნაბიჯის გადადგმა შერამბედობებისა და მოგების დონეების გასაზრდლად და ადამიანის დასაჭეში ცვლილებების ზღმშესაწყობად.
- დაკომპლექტება და შერჩევა - ორგანიზაციაში გარკვეული რაოდენობის და ტიპის ადამიანების მოხიფა.

ადამიანური რესურსების განვითარება

- ორგანიზაციული და ინდივიდუალური ტრენინგი - ბიზნესის, როგორც პროფესიის დაუფლების ორგანიზაციის სისტემური სრულყოფა; დატარებულ მომუშავეთა უზრუნველყოფა პროფესიის დაუფლების შესაძლებლობების მათი უნარის უზრუნველყოფა და სამუშაოზე მიწყობის უნარის განვითარება.

F 6926

საქართველოს
პარლამენტის
მკრმმსელო
ბიბლმოშეშა

- ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლება - სწავლებისა და სრულყოფის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რაც ვაზრდის ხელმძღვანელობის უნარს, ჰინშენლოვანი წესილი შოტანის ორგანიზაციის მიზნების განხორციელებასში.
- კადრების მართვა - უნარიანი ადამიანის მოღვაწეობის სფეროს ღრვევით დატვირთვა



ფუნქციონირების ეფექტურობის ხარისხის მართვა

- ორგანიზაციის სტრუქტურლიდან, ჯგუფებიდან და ცალკეული პიროვნებისაგან უკეთესი შედეგების მიღება მუშაობის ხარისხის კრიტერიუმის განსაზღვრითა და ეფექტური წარმართვით, დასახული ამოცანებისა და კომპეტენტურობის ფარგლებში; მუშაობის ეფექტურობის ხარისხის განსაზღვრა და გაუმჯობესება.

წახალისების მართვა

- სამუშაოს ხორთულის შეფასება - სამუშაოს შეფარდებითი მოცულობის, როგორც შიდა ფარდობითობის დაფუძნების ბაზის განსაზღვრა.
- ანაზღაურება - ანაზღაურების სტრუქტურისა და სისტემების ჩამოყალიბება და განხორციელება.
- ანაზღაურება შეტანილი წვლილისათვის - უკეთესად მალისხმევის, შედეგების კომპეტენტურობის და კვალიფიკაციის წახალისებას.
- არამატერიალური წახალისება - დაქარავეულ მომუშავეთა უზრუნველყოფა არამატერიალური წახალისებით - როგორცაა აღიარება, პასუხისმგებლობის ამაღლება, მიღწევებისა და განვითარების შესაძლებლობები.
- შედეგითი (დახმარებითი) - ანაზღაურებასთან ერთად დახმარებით უზრუნველყოფა, რაც პირადი მოთხოვნებისა და უსაფრთხოებასათვისა გამიზნული და ა. შ.

დაქარავეულთა ურთიერთობები

- წარმოებითი ურთიერთობა - პროფკავშირთან და მის წევრებთან ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობის მართვა და შენარჩუნება.
- დაქარავეულთა ჩაბმა და მონაწილეობა - მათთან ინფორმაციის გაზიარება და ურთიერთსაინტერესო საკითხებზე კონსულტაციების ჩატარება.
- ინფორმაციის გადაცემა - დაქარავეულთათვის საინტერესო ინფორმაციის მიძიება და გადაცემა.

ჯანდაცვა, უსაფრთხოება და მომუშავეთა მომსახურება

- ჯანდაცვა და უსაფრთხოება - პროგრამების შემუშავება და აღმინისტრირება.
- მომსახურება - მომუშავეთათვის ყოფითი პირობების გაუმჯობესება და პირადი პრობლემების მოგვარებაში დახმარება.

დასაწყება და ადამიანური რესურსების მართვის რეგულირება

- დასაწყების პრაქტიკა და პროცედურები - მომსახურების პირობები, რომელიც ენება დახმარების, ტრანსფერტების, დისციპლინის, საჩივრების, შტატების შემცირების საკითხების, რომელიც ატარებს თანამართი შესაძლებლობების, განსხვავებულობის, სქიზობრივი ვართულების, რასობრივი ურთიერთობის (ენიკური მინიტიორინების ჩათვლით), ასაკის, თამაქის წვეის, შიღის საკითხების მოგვარების პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის კანონიერა და საზოგადოებრივი მოვალეობების შესრულებას.
- საინფორმაციო სისტემები - ადამიანური რესურსების მართვის კომპიუტერიზებული სისტემის შემუშავება და მართვა, სხვა მონაცემების გამოყენება მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფილად და გადაწყვეტილების მიღებაში დასახმარებლად.

პირითადი შრომორვები



- როგორც კადრების სტანდარტების მართვის ორგანო (1993) მიუთითებს, ვერაღებია უნდა გამაზნვილის და დაკავშირებული უნდა იყოს შემდეგ ძირითად მთავრობებთან:
- გამოვლინოს და განავითაროს ადამიანის სათანადო შესაძლებლობები;
 - განავითაროს ის მეთოდები, რომელიც ადამიანის წვლილს უზაღებს დონეზე აივანს;
 - შესაძლებლობა მისცეს უნარიან ადამიანს დაეუფლოს ორგანიზაციულ და მმართველობით საქმიანობას კარიერის დასაწყისშივე;
 - მიღე საწარმოო კერსონალისათვის დანერგოს შრომითი საქმიანობისათვის დამახასიათებელი უწყვეტი სწავლება და განვითარება;
 - ისეთი სისტემების დაგვეჭვა, განხორცილება და მართვა, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი გამოცდილების მიღებას;
 - კვალიფიკაციის ასამაღლებელი საკეთიფიური ტრენინგების განხორცილება;
 - „ანუ-საუს“ სპეციალისტების და კვალიფიციური გამოცდილებისა და დამოკიდებულების მქონე ადამიანების შერჩევა, განვითარება და ტრენინგი, რომელიც ბიზნესის ცვალებად მოთხოვნილებებს დაკმაყოფილებს;
 - განსხვავებული დონის სამუშაო ძალის მართვა, რომელსაც კარიერისადმი მისწრაფების და ერთგულების სხვადასხვა დონე ვააჩნია;
 - დასაქმებულთა კოლექტიური და ინდივიდუალური ურთიერთობების მართვა, დროთა განმავლობაში ვალდებულების ვრცობის შენარჩუნება;
 - წახალისებისა და წარმოების მართვის ეფექტური სისტემების დაგვეჭვა, განხორცილება და მართვა, რაც უკავშირდება და სტიმულს აძლევს ცალკეულ ადამიანებსა და ჯგუფებს ბიზნესის პრიორიტეტებით და შედეგებით დაინტერესების საქმეში;
 - სამუშაო ძალის ფიზიკური და გონებრივი სრულყოფის შენარჩუნება და გაზრდა სათანადო პირობების, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით.

ადამიანური რესურსების მართვის არსი

შესავალი

წინა თავში ადამიანური რესურსის მართვის საფუძვლები სტრატეგიულად იყო აღწერილი ეს იყო მისი ე.წ. ზოგადი ელემენტების განზოგადებული კონცეპცია. მაგრამ ადამიანური რესურსების მართვისადმი ტაიური მიდგომა ისევე არ არსებობს, როგორც ტიპური ორგანიზაციები, ორგანიზაციებიცა და ადამიანური რესურსების მართვა სხვადასხვა ფორმებით ფუნქციონირებს, რომელზედაც დიდ გავლენას ახდენს შიდა და გარე პირობები.

კონტექსტუალური ფაქტორები და მათი ზემოქმედება ადამიანური რესურსების მართვაზე ამ თავში შემდეგი თემებით განიხილება:

- გარეშე პირობები, რომელშიც ორგანიზაციას, როგორც სისტემას უხდება მუშაობა;
- შემთხვევითობის თეორია - ზუსტი შესაბამისობის მიღწევის აუცილებლობა;
- ტექნოლოგიის ზემოქმედება ორგანიზაციის შიდა გარემოზე;
- გარე პირობების ზემოქმედება.

ბარემო პირობებიდან გამომდინარე ფაქტორები

ორგანიზაცია განიხილება, როგორც სისტემა, ორგანიზაციის უფექტურობა იმ პროცესში, როცა დანახარჯები იქცევა პროდუქციად, მიიღწევა იმ სისტემის სხვადასხვა ნაწილების ინტეგრაციით თვით ორგანიზაციის შიდა პირობებში და შესაბამისი პირობების შექმნით მის გარეთ.

შიდა გარემო

ორგანიზაციის შიდა გარემო შედგება სოციალური სისტემისაგან (როდესაც მუშა ეგუფები ორგანიზებულია და მიმდინარეობს ურთიერთზემოქმედების პროცესი) და ტექნიკური სისტემისაგან (როდესაც მუშაობა ორგანიზებულია მომხმარებელს კი მიწოდება მომსახურება და საქონელი). შიდა გარემო ძირითადად ვალდებულია ტექნოლოგიების გამოყენებით.

გარე პირობები

გარე პირობები გავლენას ახდენენ ორგანიზაციაზე თვით ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიო ბაზრებზე არსებული კონკურენტული ძალების მეშვეობით, ასევე ახდენენ გავლენას ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები, ახალი ტექნოლოგიების განვითარება და საზღვარგარე ჩარევა. გარე პირობები მუდმივად იცვლება და შესაძლოა არასტაბილური და ქაოტურიც კი იყოს.



შემთხვევითობის თეორია გვასწავლის, რომ მიზნების, პოლიტიკისა და სტრატეგიის განმარტებები, საქმიანობის ჩამონათვლი და ადამიანური რესურსების მართლმართლ განაწილება რაღაც მნიშვნელოვან მხრივად მასში, თუ ის უკავშირდება ორგანიზაციის განვითარებას. წინამდებარე სახელმძღვანელოში ამგვარი განმარტებები მხოლოდ ზოგად ხასიათის იტარებს. რაიმე ვითარების შეიძლება და უზრუნველყოფს ქმედების ნორმებს, რაც ვერ გამოვიწეროს შუა რეცეპტს იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ.

შემთხვევითობის თეორია არსებითად იმ აუცილებლობას უკავშირდება, რომ მოიძებნოს „შესაბამისობა“ იმს შორის, თუ რა არის ორგანიზაცია და როგორი უნდა იყოს იგი (მისი სტრატეგია კულტურა, მიზნები, ტექნიკა, მასში დასაქმებული ადამიანები და გარე პირობები) და იმს შორის, თუ რას აკეთებს ორგანიზაცია (როგორია მისი სტრუქტურა და ის პროცესები, შეიქმნა და პრაქტიკა, რომლის განხორციელებაც ორგანიზაციას უნდა).

ტექნოლოგია

მიზნების ტექნოლოგია დიდ გავლენას ახდენს შიდა გარემოზე, სამუშაოს ორგანიზებაზე, წარმართვასა და შესრულებაზე. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა შესაძლოა გამოიწვიოს სისტემებისა და პროცესების მნიშვნელოვანი ცვლილებები. აუცილებელი ხდება სხვადასხვა კვალიფიკაციის დაუფლება, მუშაობის ახალი მეთოდების გამოყენება. ამას შედეგად მოყვება ორგანიზაციისა და მისი პერსონალის სპეციფიკაცია - ბაზის ვაფართობი, სხვადასხვა კვალიფიკაციის პერსონალის გამოყენების (რაც შესაძლებლობას აძლევს მომუშავეებს გამოიყენონ თავიანთი მრავალგვარი კვალიფიკაცია და უკუწერი მუშაობის პირობებში შეასრულონ სხვადასხვა ხასიათის სამუშაო). მაგრამ აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ტექნოლოგიური ოპერაციების გამარტებება და სამუშაო ადგილების შექცობა. სწორედ ამიტომ წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების შემოტანა მნიშვნელოვან სამშრომლებს მომუშავეთათვის.

პროფესიული მუშაობის მუშაობის კომპიუტერისებრი რეჟიმისა და ლაბორატორიებში, სპეციალისტები - წარმოების ისეთ სისტემაში, რომელიც ინტეგრირებულია კომპიუტერებით და გამოთვლითი ტექნიკით; მათ სულ სხვაგვარად უნდა მოექცნენ, ვიდრე იმ კლერკებს და ოპერატორებს ვისაც ისინი ცვლიან.

მუშაობის სფერო შეიცვალა. ინფრასტრუქტურის დარღვევა წამყვანი გახდა, მრეწველობა მცირდება. მუშაობის ახალი პირობები, როგორცაა გამოძახების ცენტრები, ფართოდ გავრცელდა ტელემუშაობაც გაფართოვდა (ზინიდან მუშაობა ქსელის კომპიუტერის მეშვეობით).

კონსერვაციის შემოქმედება

გლობალური კონკრეტული იზრდება მალაგანეთარებული წარმოებისა და მომსახურების სფეროებში. რასაც ხელი შეუწოდა ტექნოლოგიების გავრცელების გაიოლებამ და საერთაშორისო ვაჭრობის საწინააღმდეგო ბარიერების შექცობის, მომხმარებლის მოთხოვნები იზრდება, რადგან საერთაშორისო კონკრეტულობის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ახალი სტანდარტების მიღწევა.

აღნიშნულ კონკრეტულობის ორგანიზაციები ხასუზობენ „მომხმარებელზე ორიენტირების“ აღებით, შედარებით უფრო სწრაფი რეაგირებით, ყურადღებას ამახვილებენ ხარისხზე და მის უწყველ გაუმჯობესებაზე, ამტარებენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მოქმედებენ შედარებით უფრო მოქნილად ასემა ზეწოლამ მიზნები უფრო „მოჭირნე“ გახადა, მართვისა და კონტროლის ფუნქციები შეამცირა. მცირდება მუდმივი შტატის და უფრო მეტად გამოიყენებენ მუშებს (მენარევეებს, დროებით შტატს), ამით მცირდება დასაქმების ხარჯები, წარმოებას საშუალება ეძლევა ადვილად შეამციროს ან გაზარდოს მომუშავეთა რაოდენობა, ეკონომიკური აქტიუობის დონის ცვალებადობის მიხედვით. ორგანიზაციებს იძულებულია იყოს „მოქნილ ფორმებდ“, ამ პროცესის შედეგად კიდევ „ვირტუალურ“ ფორმას ან კორპორაციას, სადაც საინფორმაციო ტექნიკის ფართო გამოყენების გზით ზვენი კვალიფიკაციური კადრი და მარკეტინგის სპეციალისტები მუშაობს მინ, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიდის ოფისში და უფრო მეტ დროს ანდიშებს თავის მომხმარებელთან და კლიენტებთან მუშაობას.

კონკრეტულობის ზეწოლას შედეგია მიზნების პროცესის რეორგანიზაცია. ეს არსებითად ეხება მიზნების განვითარების პროცესებს, რომელიც შესაძლოა ახსნილ იქნეს, როგორც „საქმიანობა, რომელიც მომხმარებლისათვის ერთი ხასის დანახარჯიდან ქნის მნიშვნელოვან უკუგების პროდუქციას“. მიზნების განვითარების პროცესის რეორგანიზებას არ მანინა მონათესავე ფუნქციები ცალკე ერთეულებად.



პირით, ის შეისწავლის თავიდან ბოლომდე ამ პროცესს, რომელშიც შედის და ერთმანეთს უკავშირებს ეს ფუნქციები. ორგანიზაციებში ის ამ პროცესებს განიხილავს პარიზონტალურად, მათგან უფრო ადრე ინტეგრირებისა და რაციონალიზაციისთვის. ამიტომ, მას შეუძლია შექმნას ბაზისი კონკრეტული სტრუქტურის ხელახლა ჩამოსაყალიბებლად. ადამიანური რესურსების ფედალსტრუქტურის პრიციპის რეორგანიზების შედეგი ფრიალ გამოხადდება იქნება ადამიანების მისამართული ცვალიფიკაციის ასამაღლებლად, ისევე, როგორც შეწოლა ვეგუფური მუშაობის გასაუფხილესებლად. გარდა ამისა, ის ყურადღებას ამახვილებს ინტეგრირებულ-შესაბამისი - მიდგომის მნიშვნელობაზე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, ჩამოყალიბებისა და განხორციელების საქმეში. რეორგანიზაციისაგან მალწულებზე მეტს ვლით ადამიანური ასპექტები კი ზნაზად უარყოფილია. საკმაო არ ყურადღება ემცევა ცვლილებების მართვის და პერსონალის ხელახალ მოზადებას.

რეაქცია, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანებაზე

ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების პასუხად, ციონიტიკრმა და კონკურენტულმა შეწოლამ, მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანური რესურსების მართვის ხასიათი (1980-1990-იან წლებში).

კადრებისა და განვითარების ინსტიტუტის (1994) ნაშრომში „ადამიანი მნიშვნელოვანი“, გამოითქვით იყო მოსახზება, რომ კონკურენტული მამომრავლებელი ძალები შეზღვევნიარად ახდენს გუენის იმაზე, თუ როგორაა ადამიანი ორგანიზებული და წარმართული:

- ვადანეტებლების მიღების უზრუნველყოფა და დეცენტრალიზაცია;
- დახვეწილი და გამოკვეთილი ორგანიზაციული სტრუქტურა;
- საერთო ხარისხი და ხარჯების მინიმუმამდე შემამკორბებული ორგანიზაციული ინციატრია;
- ცვლილებების უნარის მეორე საშუაო ძალი;
- პრობტზე დაყუნებული და შემხვედრი ინციატრები და ვეგუფური მუშაობა;
- უფლებამოსილი და არა მრძინებლური სტრუქტურები;
- მეტი თვითმართვისა და პასუხისმებლობის დაკისრება ცალკეული პირებისა თუ ვეგუფებისათვის;
- გამჭირვალეობა, სამართლიანობა და პარტნიორობა დასაქმებთ ურთიერთობებში.
- მეტი აუცილებლობა იმისა, რომ ხელმძღვანელებმა სრულყოფნ პიროვნებებს შორის ურთიერთობის, ვეგუფური ხელმძღვანელობის და მიტვირების უნარი მზარდადგურისა და კოორდინატორის როლების შესრულების დროს;
- მომხარებლებზე მეტი ორინტაციის აღების დამაღება;
- ყურადღების გამახვილება უწვევრ განვითარებაზე ადამიანების მეშეობით კონკურენტული უმარტების მისაღწევად.

„ღლი ბრიტანეთის მიმოხილვაში დასაქმების შესახებ“, როგორც ატორთა ვეგუფი გალის ხელმძღვანელობით (1998) აღწერდნენ მოცემული იყო ბერ შემხხვევაში განსხვავებული ასპექტები ძირითადი დასკენები შემდეგი იყო:

- ეკლიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მზარდი აუცილებლობა, რომელიც ძირითადად ეხებოდა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, ტექნიკურ და ოფისის პერსონალს და ფიზიკურად მომხვევებს;
- საშუაოს არასაივლების ზრდა, ძირითადად კაცებისათვის და არა ქალებისთვის;
- არასრული საშუაო ღლით მუშების და ქალი-მუშების რაოდენობის ზრდა -- ქალის შრომის ზრდა მლიანად გამოიწვია არასრული დასაქმების ზრდამ (არასრული საშუაო ღლით დაკავებულ ქალთა რიცხვმა 3.3 მილიონიდან 1971 წელს, მაღწია 5 მილიონს 1995 წელს);
- ადამიანური რესურსების მართვის, როგორც ხალხის მართვის პრინციპების წარმოშობას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კაბიტალაბანდებაზე სწავლებაში, ინფორმაციის გაკვლაზე, ვალდებულებების გაზრდაზე და შესრულებული საშუაოს ანაზაურებაზე;
- ყურადღების გამახვილება მოქმელ სწარმოთ მუშაობაზე, სწრაფი რეაგირების უზრუნველსაყოფად;
- არასტანდარტული კონტრაქტებით მომუშავეთა რაოდენობის შესაბამისი ზრდა (არასრული საშუაო ღლე, მოკლევადიანი და სანარლო მუშაობა);
- კარიერის პერსპექტივის შექცობა, როგორც სუსტი დონის ორგანიზაციული სტრუქტურის წარმოშობის შედეგი;
- პროფკავშირის ძალიაუფლების შექცობა, ნაწილობრივ კანონის ძალით, მეგრამ უფრო მეტად სტრუქტურული მიზეზებით, ანუ დიდმშობამანი წარმოების შექცობებით და მომახზურების სფეროს ზრდით;



- პროფკავშირის მნიშვნელობის შემცირებასთან დაკავშირებით, გადასვლა დასაქმებულ ურთიერთობის ინდივიდუალიზაციაზე, კოლექტიურობაზე ნაკლები დაყრდნობით;
- ნაკლებ სარწმუნოა, რომ ხვედრიითი წილი სამრეწველო წარმოებაში ტექნიკური ტექსტების სტრუქტურის გარდაქმნასთან ერთად ბოლო ათწლეულში;
- ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ მუშაობის ინტენსიურობისა და ხანგრძლივი სამუშაო საათების შედეგად დაძაბულობის დონე გაიზარდა.

ადამიანური რესურსების მართვის ამოცანები

როგორც ულარიხი (1998) მიუთითებს, გარემო პირობებისა და კონტექსტუალური ცვლილებები ორგანიზაციის წინაშე აყენებს კონკურენტუნარიანობის რამდენიმე ამოცანას, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანური რესურსების მართვამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი შესაძლებლობების წარმოშობას, ეს შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

- გლობალიზაცია მოითხოვს, რომ ორგანიზაციებმა გაცვალონ ადამიანები, აზრები, საქონელი და ინფორმაცია მიუღწეოთ მსოფლიოში, ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამას უნდა დაემატოს ახალი მნიშვნელოვანი კომპონენტები: ცვალებადი პოლიტიკური ვითარება, მსოფლიო ვაჭრობის საკამათო საკითხები, ცვალებადი ვალუტის კურსი და უცნობი კულტურები;
- განვითარების შედეგად მღვდელი რეტრადელობა - (შემავლის ზრდისათვის ზრუნვა) ნიშნავს იმას, რომ კომპანია იცოხ შემოჭრადი და სიახლეების შემოშენი, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ინფორმაციის თავისუფალ შემოდინებას და დასაქმებულთა შორის ცოდნის გავრცელებას;
- ტექნოლოგია - უნდა იცოს სიცოცხლისუნარიანი, მასტიმულირებელი და სამუშაოს მწარმოებლური ნაწილი;
- ინტელექტუალური კაპიტალი - ცოდნა გადაიქცა კონურენტულ უპირატესობად იმ ფირმებისათვის, რომელიც ყიდის იდეებსა და ურთიერთობებს. ორგანიზაციების ამოცანაა დაარწმუნოს ყველა, რომ მათ აქვთ უნარი მოიძიონ, აუნაზღაურონ, შეინარჩუნონ მათთვის საჭირო ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ წარუბღერნ მსოფლიო ტიპის ორგანიზაციას, რომელიც ადვილად რეაგირებს მომხმარებელის და ახალი ტექნოლოგიის შესაძლებლობებზე;
- ცვლილება. ცვლილება და კიდევ ცვლილება - კომპანიას უდიდესი პრობლემა, შევეუოს ცვლილებებს. მან უნდა შეძლოს სწრაფად და განუწყვეტლევ სწავლა და ახალი სტრატეგიული იმპერატორების სწრაფად და მიზნობრივად ათვისება.

ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტის როლი

წინამდებარე თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- რას ველოთ მართვის სპეციალისტებისაგან;
- მართვის კონსულტანტების საქმიანობის სფერო და როლი;
- ადამიანური რესურსების მართვის მოდელის, მართვის სპეციალისტის მიერ შესრულებული სხვადასხვა როლის კლასიფიკაცია;
- საკითხები, რომლებიც უკავშირდება გაცვებობებს და კონფლიქტს კონსულტანტების მუშაობაში; პროფესიონალიზმის არსი ადამიანური რესურსის მართვაში;
- ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობენ ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფას.

რას ველოთ ადამიანური რესურსის მართვის სპეციალისტებისაგან

კადრებისა და განვითარების ინსტიტუტა თვლის, რომ კადრების სპეციალისტი:

- გამოცდილი უნდა იყოს ბიზნესის მართვაში და უფექტურად წარმართოს პოლიტიკა;
 - უნდა ემორჩილებოდეს ზნობის ნორმებს;
 - უნდა გამოიყენოს და მოსადაგოს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების ისეთი მეთოდები, რომელიც დააკმაყოფილებს ორგანიზაციასა და იქ მომუშავე ადამიანების მოთხოვნებს;
 - კვალიფიციური უნდა იყოს ცვლილებების მართვის საქმეში;
 - პირადად უნდა იყოს ვალდებული, მუდმივად სწავლობდეს და პროფესიულად ეთმობოდეს.
- აქედან გამომდინარე სპეციალისტი უნდა იყოს პრაქტიკული, ოპერატიული და ზნობრივი, პროფესიული ცოდნისა და კვალიფიკაციის გამოცენების, ცვლილებების მართვისა და მუდმივ განვითარების უნარის მქონე.

საკმეინარების სფეროები

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების საქმიანობის სფეროები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება ორგანიზაციის მთავრობების, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს და მათი უნარის შესაბამისად. საერთოდ, მათ უნდა უზრუნველყონ მომსახურება, ხელმძღვანელობა და კონსულტაცია.

მომსახურებით უზრუნველყოფა

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტის ძირითადი საქმიანობაა შიდა მომსახურების მომსახურებით უზრუნველყოფა. ამ მომსახურებებს განეკუთვნებიან მმართველები, პირიზონტალური ხელმძღვანელები, ყვეუვის ლიდერები და დაქირავებულები. მომსახურება შესაძლოა მოიცავდეს



ადამიანური რესურსის ყველა ასპექტს: დაცემას, დაცომლევტებას და შერჩევას, გაქარავებული კვალიფიკაციის აძლევის, წახალისებას და ურთიერთობებს, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას და კეთილდღობას. შესაძლოა მომსახურება გაეწიოს კონსულტაციური ცენტრები. ძირითადად ურადლება ექცევა მართვის მოთხოვნებს (მაგ. რესურსებით მუშაობის უწყვეტობა გაერცვლდეს ყველა მომუშავეზე (ჯანდაცვა და უსაფრთხოება).

მიზან წარმოადგენს: რეკტორი მომსახურების განვლა, რაც დააკმაყოფილებს ბიზნესის, მის მართვისა და მასში დასაქმებული მოთხოვნებს, და მომსახურების უწყვეტურად წარმართვა.

ინსტრუქტაჟი

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები რეკომენდაციებს აწედიან მმართველებს სხვადასხვა დონეზე. უმაღლეს დონეზე ეს ნიშნავს ისეთ რეკომენდაციების მიცემას ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაზე, რომელიც წარმოიშვა ანალიზისა და დიაგნოზის დასმის პროცესში. ეს რეკომენდაციები მიმართულია ბიზნესის მოთხოვნებიდან და ადამიანის, ორგანიზაციისა და გარემოს ფაქტორებიდან გამომდინარე პრაქტიკულ საკითხებისადმი. ყველა სხვა დონეზე, კონსულტაციები შესაძლოა გაეწიოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების და დასაქმების კანონის განხორციელების. ამ უკანასკნელში, კონსულტანტები დაინტერესებულნი არიან კანონიერი მოთხოვნების შესრულებით.

დინამულ სფეროებში ინსტრუქტაჟი ნიშნავს ბიზნეს-პარტნიორის, პრაქტიკული ნოვატორის, საქმეში ჩარევის მომზადის, ადგილობრივი კონსულტანტისა და დამკვირვებლის როლების შესრულებას.

უფრო ზოგადი რეკომენდაცია შესაძლოა მიეცეს იმ ფასეულობაზე, რაც ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ადამიანების მართვის დროს. ეს როლიც შემდეგ იქნება განხილული.

ინსტრუქტაჟი უნდა გაეწიოს აგრეთვე მმართველებს, რათა მიღებულიყვნეს შესაბამისი ვალდებულებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა შესრულებული სამუშაოს შეფასება, ანალიზების ზრდა და დისციპლინარული ღონისძიებები.

კონსულტაცია

